ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4545845

ნომერი: AR1683042

თარიღი : 22.05.2019

გაცემის თარიღი : 14.06.2019

გაცნობის თარიღი : 24.06.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მცხეთა , N 48-50 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა მარუხის გმირები , N 8;

დამკვეთი-განმცხადებელი

- აბესალომ შავგულიძე პ/ნ 01024011277
- თბილისი ალ.ყაზბეგის გამზ. N 4 ბ. 15

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 20 თებერვლის №01/402 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 22

მაისს NAR1683042 განცხადებით მომართა აბესალომ შავგულიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2012 წლის 20 თებერვლის №01/402 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 20 თებერვლის №01/402 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, მცხეთის ქ. N48–50–ში/მარუხის გმირების ქ. N8–ში თანსაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.12.11.041.026) მშენებარე საცხოვრებელი კომპლექსის I და II ბლოკების კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2012 წლის 24 თებერვლიდან 2013 წლის 24 აგვისტომდე.
სამსახურის 2012 წლის 02 ოქტომბრის №375507 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომები სამსახურის 2012 წლის 20 თებერვლის №01/402 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლებში დაფიქსირდა: საცხოვრებელი ფართობი: 6348.33კვ.მ კომერციული ფართობი: 1153.75კვ.მ საზაფხულო ფართობი: 1365.06კვ.მ კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობი: 637.3 კვ.მ, მიწისქვეშა ავტოსადგომების ფართობი: 1050.0 კვ.მ. საერთო ფართობი: 10554.44კვ.მ.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2012 წლის 20 თებერვლის №01/402 ბრძანებაში გამორჩენილია გარე ავტოსადგომების ფართის - 500.25 კვ.მ-ს დაფიქსირება. შესაბამისად, მოთხოვნილია აღნიშნულთან დაკავშირებით ცვლილების შეტანა.
საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ სამსახურის 2012 წლის 20 თებერვლის №01/402 ბრძანებით შეთანმხებული არქიტექტურული პროექტით I და II ბლოკის 0.00 ნიშნულზე გათვალისწინებული იყო გარე ავტოსადგომი ფართობით - 500.25 კვ.მ. აქედან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და ცვლილება შეიტანოს სამსახურის 2012 წლის 20 თებერვლის №01/402 ბრძანებაში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 20 თებერვლის №01/402 ბრძანებაში და აღნიშნულ ბრძანებაში დაფიქსირდეს: გარე ავტოსადგომი ფართობით: 500.25 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 20 თებერვლის №01/402 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 20 თებერვლის №01/402 და 2012 წლის 02 ოქტომბრის №375507 ბრძანებებთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.